№ 48 მარტი 5, სამშაბათი 1891 მარტი 5, სამშაბათი № 48

ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთის ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ალექსანდრეს ქუჩა, თ. გურამიშვილის ძველი ..., თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ ასო სტრიქონი ... კაპეიკი.

1877—1891 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


გაზეთი „ივერია“ პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე ღირს 8 მ. 75 კ.

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა მარტის ოცდა-სამს საღამოს ექვს საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამ კრების საქმე არის:

1) განიხილოს და დაამტკიცოს ანგარიში საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულს 1890 წლის განმავალობაში და დაამტკიცოს მოგების განაწილება.

2) განიხილოს წინადადება წესდების რამდენისამე მუხლის შესახებ.

3) დანიშნოს რიგი და ზომა იმ განსამრჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის პირთა.

4) განიხილოს და დაამტკიცოს ხარჯთ აღრიცხვა 1891 წლისათვის.

და 5) აირჩიოს წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერი: ორი რჩევის დეპუტატი, გამგეობის ერთი დირექტორი; სარევიზიო კომისიის სამი წევრი და ამ უკანასკნელთა კანდიდატები და სხვა თანამდებობის პირნი, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდება.

---

†

**მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანი**

სიკვდილი აღარ გვეშვება და თით-თითოდ გვაკლებს რჩეულს მამულიშვილებს. ამ ხანად კიდევ მოგვტაცა ერთი ასეთი მამულიშვილი. ორს მარტს გარდაიცვალა კავკავში მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანი, გამგებელი გამიჯვნის საქმისა თერგის მხარეში.

დიდი დასაკარგია ჩვენთვის მისი დაკარგვა. განსვენებულ მიხეილ ზაალის-ძის ხანგრძლივმა სიცოცხლემ სამშობლო ქვეყნის ზრუნვასა და მასთვის გულ-მტკივნეულობაში განვლო. მიხეილ ზაალის-ძე იყო სული და გული კავკავში დაარსებულის ქართულის სკოლისა. ამ ბოლოს დროს საქართველოზე შორს იყო, მაგრამ სული მისი მაინც ჩვენ შორის ტრიალებდა, ზრუნვა მისი ჩვენს ქვეყანას არა შორდებოდა.

მოღვაწეობა მიხეილ ზაალის-ძისა დაიწყო ამ 30 წლის წინად და მის უკან აღარ შეწყვეტილა სიკვდილამდე. სწორედ საკვდილამდე არ დაუტოვებია განსვენებულს ზრუნვა და ფიქრი იმ ქვეყნისთვის, რომლის შვილიც იყო და რომელმაც მიანიჭა სიცოცხლე.

და აი, როცა სული მისი განძლიერდა, გონება გამოიცადა, ცოდნით მოირთო და დაბრძენდა, ნატვრა-სურვილი საზოგადო სიკეთისა განუმტკიცდა და განსვენებულმა მიაღწია იმ ხანს, როცა კაცისათვის ბევრად უფრო ადვილია ყოველი თავისი კეთილი და ქვეყნისათვის გამოსადეგი ფიქრი შეასრულოს; როცა მოძმენი და თანა-მემამულენი გულ-დანდობით შესცქეროდნენ იმის ჭკვიანსა და გონიერ სახეს, იმის ჭაღარა-შერთულს თმასა და წვერს, და მრავალს სიკეთეს კიდევ მოელოდდენ მისგან, სწორედ მაშინ იმსხვერპლა სიკვდილმა ეს ჩვენ მიერ ძნელად გასამეტებელი და ძნელად დასათმობი კაცი, — ჩვენი ძვირფასი მიხეილ ზაალის-ძე.

სიკვდილმა სწორედ იმ დროს გამოგვაცალა ხელიდამ ეს დაუღალავი მუშაკი, როცა განსვენებული დიდის მხნეობითა და ხალისით ზრუნავდა საზოგადო საქმისათვის. სიკვდილამდე სულ რამდენისამე დღის წინად მოუვიდა იმისი წიგნი ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომელსაც ატყობინებდა, რომ სტეფან-წმინდაშიაც ვახერხებთ სკოლის გამართვასაო, იქაურ ყმაწვილებისათვის თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო. ჯერ დღესაც იბეჭდება ტფილისში და ამ მოკლე ხანში მზად იქნება განსვენებულის ქართული სახელმძღვანელო გეომეტრიისა, რომელიც შეიცავს სტერეომეტრიას, მცირე გეოდეზიასა და ტრიგონომეტრიას. უკანასკნელ ხანებშივე განსვენებული სცდილობდა ლოგარითმების დაბეჭდვას კავკავში და უზრუნველ ყოფას იმ სკოლისას, რომელიც თავის მხნეობით დააარსა იქ იქაურ ქართველთა ყმაწვილებისათვის და რომლისათვისაც ოთხას თუმნამდე თანხა შეადგინა ფულად.

ჩამოვთვალოთ მოკლედ ნაღვაწი და ნაჭირნახულევი განსვენებულისა.

1862 წელს მიხეილ ზაალის ძემ ბ-ნ ვ. თულაშვილთან ერთად შეადგინა და დაბეჭდა პირველად პირველი ქართული არითმეტიკა. 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაჰბეჭდა წერილები, ჩიტორელიძის სახელით ხელ-მოწერილი, თარგმნა ლერმონტოვის მოთხრობა „გმირი ჩვენის დროებისა“ და ზოგიერთი წერილები ბელინსკისა. 1864 წელს შეადგინა სტ. მელიქოვის სტამბისათვის ერედ-წოდებული ვენის შრიფტი, რომლითაც იბეჭდებოდა გაზეთი „დროება“ და რომლითაცვე იბეჭდება ეს წერილი. 1865—66 წ.წ. სთარგმნა და დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ ტრაგედია შექსპირისა „იულიუს ცეზარი“; შეადგინა საქართველოს რუკა ხუთ-ვერსიანის მაშტაბითა.

1870 წლიდამ მიხეილ ზალის ძე მიეცა ზრუნვას სამათემატიკო სახელმძღვანელოების შედგენისას ქართულად. განსვენებულმა ბევრი შრომა გასწია სამათემატიკო ტერმინების მოსაპოვებლად. ამ აზრით გადაათვალიერა, თუ რამ სამათემატიკო შინაარსის ძველი ხელ-ნაწერი მოიპოვებოდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავში და იქიდამ ამოკრიბა გამოსადეგი ტერმინები. ამ შრომის ნაყოფი იყო ვრცელი ქართული არითმეტიკა, რომელიც დაიბეჭდა ტფილისს 1886 წელს. იმ წელსვე შეადგინა ქართულად რუკა ბალკანეთის ნახევარ კუნძულისა და შემოსწირა გაზეთ «ივერიას» ხელის-მომწერთათვის დასარიგებლად. 1887 წელს დაიბეჭდა ქართულად გეომეტრიის პირველი ნაწილი, პლანიმეტრია, და ეხლა იბეჭდება, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, მეორე ნაწილი გეომეტრიისა, გეოდეზია - ტრიგონომეტრიითურთ. 1886 წლიდამ იბეჭდებოდა ჩვენს გა-

---

# ფელეტონი

**ათაბაგნი ბექა და აღბუღა**

**და**

**მათი სამართალი**

**XII**

(შემდეგი. იხილე „ივერია“ № 43)

ყიდვა-გასყიდვისაგან განირჩეოდა ქირა. ს. ს. ორბელიანის სიტყვით, ქირა — სხვათა ენაა და ქართულად მიზდი ეწოდება. რაც უნდა იყოს, ქართველი სიტყვას ქირა უფრო ჰხმარობს და თვითონ აღბუღას სამართალშიაც სრულიად მოხსენებული არაა მიზდი. საათაბაგოში ქირა ისეთს ხელ-შეკრულობას ერქვა, რომლითაც კაცი თავის თავს ანუ თავის სახედარს, შინაურს პირუტყვს, სამოსაქმოდ და სამუშაოდ სხვას აძლევდა და პირობას უდებდა — ესა-და-ეს ფასი მომეციო. ამ მხრივ იქაური ქირა მიაგავდა რომაელებისას, თუმცა მათ შორის განსხვავებაც იყო. რომაელთა სამართალი აწესებდა, ქირა სამგვარიაო — უსულო სასაქონლოს ქირად მიცემა, კაცის სამსახურად დაჭერა და ეგრედ წოდებული სახელოსნო ქირა (როცა, მაგ., რომელსამე ხელოსანს პირობით შეეკვროდნენ — ეს საქმე ამ ფასად გამიკეთეო[198]) აღბულა-კი ამბობს, ქირას საგნად მხოლოდ კაცი და სახედარი აქვსო. თუმცა ათაბაგი სახელოსნო ქირას (რომაელთა Locatio conductio operis) ცალკე არ ასახელებს, მარამ იგი ქირა საათაბაგოშიაც უნდა სცოდნოდათ, რადგანაც საკაცო ქირა ზოგადად განმარტებულია — „თუ კაცმა კაცი დაიქიროს რაგინდარა საქმისათვისო“. ეს „რაგინდარა საქმე“ შეიძლებოდა სახელოსნო საქმეც ყოფილიყო. მაშასადამე, საათაბაგოს ქირას მხოლოდ უსულო სასაქონლო (ნივთი) არა ჰქონდა საგნად და ამით განსხვავდებოდა რომაელთა Locatio — conductio-საგან. ქირა დროებით ხელ-შეკრულობას შეადგენდა და ვიდრე პაემნის ჟამი არ გათავდებოდა, მისი მოშლა და დარღვევა არ შეიძლებაო. აღბულა ამ პაემნის ჟამს უწოდებს ბორჯალს*). დაქირავებულს კაცსა და სახედარს რაც უნდა დაემართოს ბორჯლის გასვლამდე, სულ ერთია და მოქირავე პასუხს არ აგებს — „და მას შიგან მოკვდეს, არავინ რას ემართლების ქირისაგან მეტსა; ამავე წესითა სახედრისა იყოსო“. მაგრამ სამართალი მოქირავეს ნებას როდი ანიჭებდა, როგორც გვპრიანების, ისრე მოექცეს დაქირავებულსაო არა, მოქირავეს ზარალი უნდა ეზღო, თუ უწყალოდ და ბორჯალს გარედ ამუშავებდა და ამის გამო დაქირავებული მოკვდებოდა: „თუ ანუ ბორჯალს გარდახდეს, ანუ უშორეს წაიყვანოს, ანუ შეკვეთილისაგან კიდევ მეტი აჰკიდოს, თუ მოკვდეს უზღოსო“ (მუხ. 3). იგი სათნოება დიდს სხსოებასა და ნუგეშს შეადგენდა დაქირავებულისათვის და ამაშია საათაბაგოს ქირის საუკეთესო თვისება. სხვაგან, მაგ. რუსეთში ქირას ასეთი თვისება არა ჰქონია. Русская Правда ამბობდა, თუ დაქირავებული კაცი, „ზაკუპი“, ვადის გასვლამდე გაიქცა, მოქირავეს ხოლოპი შეიქნესო[199]. გაქცევა ხშირად უჯიათად მოპყრობისაგან წარმოსდგებოდა და ხოლოპობა კიდევ მონობას ნიშნავდა. საათაბაგოს სამართალი-კი გაქცევას არ იხსენიებს და ალბად იმიტომ, რომ დაქირავებულსა და მოქირავნეს შორის უფრო სათნოიანი დამოკიდებულება არსებობდა და პირველი არ საჭიროებდა მეორეს გაქცევოდა და საქიროდ ბორჯალი უარეყო. მამულის ქირაობა საყოველთაო ჩვეულებაა და საქართველოშიაც იციან[200], მაგრამ აღბუღას სამართალი სრულიად არაფერს ამბობს ამ ჩვეულებაზე.

როცა ერთი მეორეს თავის მამულსა ან საქონელს აველრებს — შესანახად აძლევს, მაშინ ხელ-შეკრულობას ამანათი ჰქვიან. შესანახად მიცემა ფასითაც შეიძლება და მუქთადაც. ეს ხელ-შეკრულობა ძველთაგან ძველია და პირველ დროს სამართალი განსხვავებას არა სდებს სამამულო და სასაქონლო ამანათსა, იგი განსხვავება მხოლოდ დროთა მსვლელობაში ჩნდება[201]. საათაბაგოს ამანათიც ძველის ფორმისაა — როგორც სამამულოს, ისრე სასაქონლოს მიბარება შეიძლებოდა. მაგრამ აღბულა ამანათს მარტო სასაქონლო მიბარებას უწოდებს, ხოლო სამამულოსას — შეკვდრებასა. თვით ამ სიტყვათა სხვა-და-სხვაობა ამტკიცებს, რომ საათაბაგოში საზოგადოდ ამანათს ცვლილება გამოუვლია და ჟამთა ვითარების გამო ერთს ღეროზე ორი შტო აღმოცენებულა. მართალია, ორივე შტო ერთის ნიადაგისაა, მაგრამ თავისებურებაც ეტყობათ. მაგალითებრ, სამამულო შეკვდრებაში შემავედრებელს ზოგჯერ ფასი უნდა გაელო შევედრებულის სასარგებლოდ: აღბულა ამბობს, თუ კაცმა სხვას მამული შეავედროს, „დაჭირვასა არას ემართლების, ნაქმრის ფასი მისცეს“ შევედრებულსაო (მუხ. ნე. ნაქმარი — за труды). შემამულეს ნაქმარი უნდა გარდეხადა. იგი ნაქმარი სასაქონლო ამანათისთვის დადებული არ იყო და ამ მხრივ, როგორც სხვაფრივაც, საათაბაგოს ამანათი მიაგავდა რომაელების depositum-ს[202]. მაინც რომის სამართალმა ზედ-მოქმედება იქონია საათაბაგოს ამანათზე და აი როგორ. იგი სამართალი აწესებდა, ვინც სხვა კაცის სასაქონლოს დაიჩემებს, ქურდია და დამნაშავეს ერთი ორად გარდახდესო. ამანათად მიცემული სასაქონლოს დაჩემებაც პარვაო[203]. სწორედ ასრე ბჭობს ათაბაგიცა: „თუ ამანათი დაუჭიროს, როსცა სასამართლოდ შეიყარნენ, ერთისათვის ორი დაუურვოსო“...

საათაბაგოში ყველაფერი სასაქონლო შეეძლო კაცს სხვისათვის ამანათად შეევედრა — „თუ კაცმან კაცსა ამანათი შეევედროს რა გინდა რა ფერიო“. რასაკვირველია, რა გინდა რა ფერი ნიშნავდა როგორც უსულოს, ისრე სულიერს სასაქონლოს. მაგრამ აღბულა არას ამბობს, შეიძლებოდა კაცის ამანათად მიცემაც, თუ არა. ეს კია, რომ ძველად ასეთი ამანათიც ჩვეულებად ჰქონიათ და დიდი ხანი არაა მას აქედ, რაც ოსებში კაცსაც ამანათად აძლევდნენ[204]. საამანათო პირობა სავალდებულო იყო მარტო მიმცემლისა და მიმღებლისათვის და

---

[198]) Зомъ, стр. 249.

*) ბორჯალი — პაემნის ჟამია, იხ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

[199]) Калачевъ стр. 141.

[200]) სხვათა შორის, სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთშიაც, Зак. и Об. на Кав. II. 60, 112—3.

[201]) Совр. Об. и др. Зак. I. 196—7, 218.

[202]) Зомъ, 234—5.

[203]) Зак. и Об. на Кав. I. 130—131.

[204]) Совр. Об. и др. Зак. I. 208—9.

ზეთში მისი წერილები თადეოზთან ჩვენის ქვეყნის სხვა-და სხვა საჭირ-ბოროტო საგნების შესახებ, ზემოხსენებულ ფსევდონიმითვე ხელ-მოწერილები.

შარშან განსვენებულის ყურადღება მიიქცია ჩვენს შორის ვაჭრობისა და მრეწველობის ფრთა-გაუშლელობამ, ეკონომიურმა ულეოებამ. ვაჭრობისა და მრეწველობის გაძლიერებლად და აგრეთვე მათ რიგიანად წარმოებისათვის განსვენებულმა განიზრახა დაარსება ტფილისში დიდის ქართველთა საკრედიტო სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებისა, პროექტი წესდებისა თვით შეადგინა ბ ნ მაჩაბელთან ერთად და შარშან დაჰბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ბევრი რამ კეთილი ფიქრი და აზრი კიდევ სხვა ჰქონდა განსვენებულს თავის ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა საქმედ გადაექცია და განეხორციელებინა. ყოველივე ეს ფიქრი და აზრი თან წაიღო საფლავში და დასტოვა ობლად და მგლოვიარედ იქ თავის დიდად ნაამაგევი კავკავის ქართული სკოლა და აქ ის მცირე დასი ქართველ მოღვაწეთა, რომლის მხნე და დაუღალავი წევრი იყო განსვენებული.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

გ—გ

## ახალი ამბავი

*** საბჭოს ახალმა კომისიამ, რომელიც განსაკუთრებით დანიშნულია იმისათვის, რომ განიხილოს სათხოვარი ქალაქის მამულის პატრონებისა ძველ შემოუტანელ გარდასახადის გამო, წარსულ თებერვლის 28 რიცხვსა განიხილა სათხოვარი 24 კაცისა; ისინი თხოულობდნენ—ზოგი შემოუტანელ გარდასახადის პატიებას, ზოგი—ჯარიმებისას. კომისიამ დაადგინა 8 მამულისა—ეპატიოთ, სულ 149 მან. და 72 კაპ., 8 მამულისა—ჯარიმა, სულ 255 მან. და 44 კაპ. 6 კაცის სათხოვარი-კი კომისიამ სრულებით არ შეიწყნარა.

*** ჩვენ უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ საბჭოს მდივანმა ბ-ნმა ტიგრანოვმა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას.

ქალაქის თავის მოადგილემ, ბ-ნმა იზმაილოვმა მიიღო დათხოვნის ქაღალდი და გამგეობის საქმეთ მწარმოებელს თავ. პ. არღუთინსკი-დოლგორუკს მიანდო ჩაებარებინა ტიგრანოვისაგან დოკუმენტები, საქმეები და წიგნთ-საცავი გამგეობისა. ამასთან ერთად არღუთინსკიმ უნდა ჩაიბაროს სამხედრო საბეგრო გამგეობის საქმეებიც, რომელიც ებარა საბჭოს მდივანს.

*** ზოგიერთი ახალი ხმოსანი ქალაქის საქმეების გასაცნობლად მიდის ხოლმე გამგეობაში, მოითხოვს იქ საქმეებს და ჰკითხულობს. გამგეობა დარწმუნდა, რომ თუ ცალკე ოთახი არ აღმოუჩინეთ ამისთანა ხმოსნებს, ხელს შეგვიშლიან მუშაობაშიო და ამისათვის გამგეობამ ესეთი საღსარი აღმოაჩინა: ქალაქის ტეხნიკების ოთახი ორად გაჰყო და ერთი მათგანი განსაკუთრებით ქალაქის საქმეების შესასწავლად მსურველ ხმოსანთათვის დანიშნა.

*** გუშინ მთელს ქალაქში ზურნის ხმა ისმოდა, ყოველ უბანში იმ უბნის ყეენსა ჰქონდა გზა შეკრული და გამვლელ-გამომვლელს ხარჯს ახდევინებდა. პოლიციამ გოლოვინის პროსპექტზედ აუკრძალა სიარული, ასე რომ ეს პირველი ქუჩა ქალაქისა ხელიდგან გამოაცალა ყეენის ბრძანებლობას. არა-ჩვეულებრივი მოვლენა კიდევ ის იყო, რომ ყეენმა ქალაქში სიარული დიდმარხვის პირველს დღეს ორშაბათს-კი არ დაიწყო, ყველიერის უკანასკნელ დღეებშივე შეხვდებოდით აქა-იქ კანტი-კუნტად თითო-ოროლა ყეენს. ამას გარდა წრეულს ერთის უბნის ყეენი მეორე უბანში გადადიოდა და ამ გვარად დაარღვიეს ძველი წესი. საგანგებოდ მორთულსა და მოკაზმულს ყეენს იშვიათად შეხვდებოდით სადმე.

*** ბ-ნმა მიქელაძემ ოზურგეთში დაიბარა გასაყიდათ ამ დღეებში სამეურნეო საზოგადოებიდამ ხუთის თუმნის აბრეშუმის ჭიის თესლი. ამ საზოგადოებაში ისყიდება ახალის წესით მომზადებული ჭიის თესლი, რომელიც არის სამი ჯიშისა: საფრანგეთისა, არკადიისა (საბერძნეთიდამ) და განჯისა (იქაურ სკოლისა). მისხალი ჭიის თესლისა ისყიდება 55—60 კაპეიკად.

*** ს. ზემო-ჭალა: ამ ორის კვირის წინად ერთი უბედური შემთხვევა მოხდა აქა. გიორგი მაჩიტაძის ცხრა-ათის წლის ქალიშვილს ცეცხლი მოეკიდა ტანისამოსზედ და დაიწვა. აი ეს უბედურება რა გვარად დატრიალდა: ამ დღეს ქარი ჰქროდა. ბუხარში დიდი ცეცხლი ენთო და კეცები ელაგა ზედ გასახურებლადა და მჭადების გამოსაცხობლად. ყმაწვილის დედა გარედ გამოვიდა. მიუიდა თურმე საწყალი ქალი ბუხართან და ცეცხლს დაუწყო სწორება. ამ დროს დაჰბერა ქარმა ზემოდამ ბუხარს, ცეცხლის ალი ეცა ყმაწვილის ტანისამოსს და მოეკიდა. ყმაწვილმა ყვირილი მორთო, გარედ გამოვარდა, მაგრამ ქარმა უარესად გააძლიერა კაბაზედ მოდებული ცეცხლი და სანამ მეზობლები და დედა მიეშველებოდა, თვალები, სახე და ტანი დაეწვა. საბრალო ბავშვმა მხოლოდ ერთი დღე იცოცხლა.

*** რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელს საზოგადოებაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყველა დიდად შესანიშნავს სავაჭრო და სამრეწველო ადგილებში როგორათაც: მოსკოვში, ოდესაში, ტფილისში და სხვ. დაარსონ ისეთივე სახელოსნო მუზეი, როგორიც ამ ხანად ვარშავაში დაარსეს. („Новости“)

*** „Земледѣльческая газета“ გადმოგვცემს შემდეგ საყურადღებო ცნობას შესახებ ჭიის მოვლისა. ყველამ ვიცით, რომ პარკის ჭია ფრიად ნაზი მწერია. სინაზისგამო ვერ იტანს ვერავითარ სიბინძურეს, ჭუჭყს და მეტადრე დახშულ ჰაერს და მძიმე სუნს. ხოლო ყველა ამას-კი „საჭიეში“ აჩენს უფაქიზობა და მეჭიეთა დაუდევრობა. მეჭიენი ხშირად სრულიად არ ასუფთავებენ საჭიო სადგურს, სადაც ჭიის განავალი და მასში არეული ფურცლის ნაჭუც-მაქუცი ირევა, იშლება და იხრწნება, და ამის გამო ნაზი მწერი მალე ავად ხდება და უსარგებლოდ იღუპება. დღეს საფრანგეთის ერთ გამოჩენილ მეცნიერს მოუგონია შემდეგი უბრალო და უებარი საშუალება, რომელიც ჭიას იფარავს ყოველ გვარ ხიფათისაგან. ესეთი საშუალება არის ხავსი ანუ ჭაობის გამხმარ-გამშრალი ბალახი (Торфъ). ეს ხავსი ჭიის წყობას ფურცლის მიცემის წინად უნდა დაეყაროს კარგად სქლად. შემდეგ მოყრილ ხავსის ზემოდგან მოეყრება ფურცელი. რომელი ჭიაც ჯან-საღია და შეუძლიან პარკის გაკეთება, ის ადვილად ამოძვრება, ხოლო რომელიც ავად არის და გამოუსადეგარია, ხავსის ქვეშვე დარჩება და დაიღუპება. ამათი დაღუპვა მეჭიეს არა თუ ზარალს, არამედ დიდ სარგებლობას მოუტანს, იმიტომ რომ დასაღუპი, უვარგისი და ავადმყოფი ჭია თუ ცოცხალი დარჩა, არა თუ პარკს გააკეთებს, არამედ სხვებსაც გადაადებს თავის სნეულობას და ჭირს. მაშასადამე, თუ გვინდა ჭია დავიცვათ აუცილებელ უბედურებისაგან, უსათუოდ უნდა წინადვე დავხოცოთ ჭირიანები. აი ამისთვის, როგორც ვსთქვით უებარი წამალია ზემოხსენებული ხავსი. იმავე მეცნიერს უცდია, რომ ეს ხავსი [illegible], სიბინძურე იცის, სიმყრალისა და ჰაერის ხაშმის ასაცილებლად, მაგ., საჯინიბოში და სხვ.

*** 2 მარტს პოლიციის მეექვსე ნაწილში ტფილისის მცხოვრებელმა სამსონ სარიბეგოვმა რკინის-გზის მოხელეს სტეფან ანისიმოვს ფულის ქისა გამოსტაცა ხელიდგან და დაიმალა. ქისაში 30 მანეთი იყო. დამნაშავე შეიპყრეს, სამი მანეთი-ღა უპოვნეს და პატრონს გადასცეს.

*** ამავე დღეს ნავთლუღში სოლომონ ყანჩელმა სიმთვრალის დროს დანით დასჭრა თავში სოფ. ნუგრიანის მცხოვრებელი ალექსანდრე ალხანოვი. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს და იქვე გარდაიცვალა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამ თვის 2 პოდპოლკოვნიკმა ალექსანდრე აგნივცევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ავჭალის ქუჩაზე სახლი გამიქურდეს და 30 მან. ნივთეული მომპარესო. ეჭვი სახლის პატრონის მოსამსახურე კონსტანტინე ხუბულაშვილზე გამოაცხადა.

*** 28 თებერვალს ქალაქის მკურნალმა რიყეზე გასინჯა აკოფ ოჰანეზოვის დუქანი და 4 ფუთი უვარგისი თევზი გადააყრევინა.

## საშინელი მტერი

28 თებერვალს უკანასკნელად შეიკრიბა ტფილისის მაზრის უფროსის, თ. ლევან ჯანდიერის თავმჯდომარეობით, გუბერნატორისაგან დაარსებული სამაზრო კომიტეტი, რომელსაცა აქვს დავალებული გამოსძებნოს საშუალება და იღონოს რამე კალიის გასაწყვეტად. კომიტეტის წევრთა გარდა, კრებას დაესწრნენ: თელავის მაზრის უფროსი თ. ნ. ჩოლოყაშვილი, სიღნაღისა—კ. შანშიევი, მომრიგებელი შუაკაცი ი. თულაშვილი და მემამულენი: თ. კ. ჩოლოყაშვილი, ზავრიევი, ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე ნ. მამაცოშვილი და ყარაიაზის ბოქაული ტერ-გრიგოროვი.

კრებას მოხსენდა შემდეგის შინაარსის პროტოკოლი კომიტეტისა: კალიას დაუდვია კვერცხი იაღლუჯის მთის ძირში, იქ, სადაც მოთავსებულია საზამთრო ბინა ადგილობრივის მცხოვრებლებისა და მემამულეთა; ხატის თელეთის, კუმისის და კოდის სამამასახლისოების სახნავ და სათიბ მამულებში, ყარაიაზისაკენ: ბეჟუ-კიასიკის და კიჩიკ-კიასიკის

---

გარეშე კაცს არა ეკითხოდა-რა: სხვას ამანათი თუნდაც წაეღოს „საქონლისა პატრონი წამღებსა არას ემართლებისო თხოვასა, მას თხოვოს, ვისდა შეევედრებიაო“. ამ შემთხვევაში მიმღებს ამანათი უნდა ეპოვნა, თუ არა და—ეზღო დაუკლებლად (მუხ. პშ). ამანათის არსებითი თვისება ისაა, რომ შევედრებული „დაჭირვას, დახუთვას არას ემართლებისო“ შემავედრებელსა. ხომ ასეა, მაგრამ შევედრებულს, რაიმე მიზეზის გამო, შეეძლო ამანათი დაეხუთა. ასეთს დახუთვას აღბუღა ბრალად სდებს შევედრებულს და დამხუთველმა ერთი ორად უზღოს შემავედრებელს, „ამად რომ დაჭირების ჟამსა მისი საქონელი აღარად მოხმარებია და ზიანი სცემიაო“ (მუხ. პთ).

როგორც ვუჩვენეთ, ამანათი სასაქონლოა, შევედრება-კი სამამულო. პირველი მუქთია, მეორეს ნაქმრის ფასი სძევს. როცა დროთა ბრუნვის გამო, ეს ორი ხელ-შეკრულობა განცალკევდა, თითოეულს საკუთარი ხასიათი დაეტყო. პირვანდელ დროს ამანათი საერთო და საყოველთაო ყოფილა და ბოლომდე ათაბაგოში ეს ხასიათი შერჩა. ხოლო სამამულო შევედრება უფრო საგლეხო ჩვეულებად გარდაიქცა. ცხადია რისთვისაც. ფეოდალობა მძიმე უღლად დააწვა გლეხობას და მამულის შევედრებას უმეტესად გლეხი საჭიროებდა. სათაბაგოს სამამულო შევედრება გარეგნობით ბევრად მიაგავს რომაელების precario-ს [205]). რომში პატრონი თავის კლიენტს სამოწყალოდ აძლევდა მამულსა. ასე იქცეოდნენ სათაბაგოშიაც, სადაც გლეხი ხშირად ევედრებოდა მემამულესა და ბატონს, მამული მომეცი სარჩენადაო. ხელ-მოკლეობა და გაჭირვება გლეხს ძალას ატანდა ასე მოქცეულიყო. რასაკვირველია, ესევე არ ითქმის პატრონსა და ბატონზე. თუმცა სამამულო შევედრების მიზეზი ამ სოციალურს ურთიერთობაშიაც უნდა მოიძებნოს, მაგრამ თავდაპირველად ეს ხელ-შეკრულობა სხვა გარემოებამ დაჰბადა. მამულის უქონლობას გარდა, კაცს ბევრ გვარი სხვა მიზეზი იძულებულ ჰხდიდა შევედრებისათვის მიემართა. ხშირად თითონ მემამულე საჭიროებდა მიებარებინა თავისი მამული. აღბუღა აღნიშნავს, თუ რა იყო იგი საჭიროება და ამითი ნათელს ჰფენს ამანათის და სამამულო შევედრების ბნელით მოცულს დასაწყისსა და გაჩენას. ასეთი საჭიროება ობლობა და გარდახვეწაა,—„თუ კაცმან კაცს მიწა გინა ნაშრომითა, გინა ნაგებითა, გინა ნარგევითა ანუ ობლობისათვის, ანუ გარდახვეწისათვის შევედროსო“... როცა ობოლი გაიზრდებოდა და გარდახვეწილი დაბრუნდებოდა, „ადგილი მემამულესავე მართებს“, შევედრებული „დაჭირვას არას ემართლებისო“. მემამულეს მხოლოდ ნაქმრის ფასი უნდა გაეღო და ნაქმარი კიდევ ნიშნავდა რასაც შევედრებული შრომითა და გარჯით შეჰმატებდა სხვის მამულსა (მუხ. ნე). ასე ჰბობს აღბუღა საზოგადოდ შევედრებაზე და მაშასადამე შევედრების პირვანდელ მიზეზად ობლობასა და გარდახვეწას აღიარებს. რა-კი შესაძლოა ობლობა და გარდახვეწა პატრონსა და ბატონსაც დამართოდა, რასაკვირველია, სამამულო შევედრებას ვერც ისინი ასცდებოდნენ, თუმცა მერმე შევედრებამ ხასიათი იცვალა და უფრო საგლეხო ხელ-შეკრულობად გარდაიქცა. ეს მაშინ, როცა ობლობასა და გარდახვეწას გარდა, სამამულო დამოკიდებულება გამწვავდა და პირვანდელს საბაბს ზედ დაერთო სხვა მიზეზიც. აღბუღა ცალკე აღნიშნავს საგლეხო შევედრებას—„თუ კაცმან კაცს გლეხისაგან სამამულო რამ შევედროსო“... არც ასეთი შევედრებულის მამულის დაჭირვა იქნების და თუ „აღარ მისცეს, ოდეს-ღა სამართალმან დაადებინოს, ნაჭამითა მისცენო“ (მუხ. ნდ).

ამანათის მსგავსს ხელ-შეკრულობას შეადგენდა ეგრედ-წოდებული საქმითა ვისგანმე რისამე წაღება. ამ ხელ-შეკრულობას საკუთარი სახელი არ ედო, თუმცა-კი ცალკე მოხსენებული იყო სამართალში. ამანათსა და საქმით წაღებას საერთო ისა ჰქონდათ, რომ ერთიცა და მეორეც სასაქონლოს შეადგენდა, თავის დროზე პატრონს უნდა დაბრუნებოდა და რაც ზიანი მოუვიდეს, პატრონს უზღონო. აღბუღა ამბობს, შეიძლება კაცს საქმით წაღებული „წაუხდეს“, თუ არა და—სხვამ წაართვას: „სოფელსა უწყინოს ვინ თათარმან ანუ ქართველმანო“. ორსავე შემთხვევაში წამღებელმა გასცეს პასუხიო. თუ წაღებული „წაუხდა“, ზიანი აუყენოს, ხოლო როცა „წაართვან“, სასაქონლო თითონ წამღებელმა დაიხსნას ანუ ფასი მისცეს პატრონსაო. საქმით წაღებულ სასაქონლოს ბედი და თავგადასავალი, სხვათა შორის, მითაც საყურადღებოა, რომ იმ დროინდელს სურათს გვიხატავს. ძალადობა და მტრობა მაშინ ხშირი მოვლენა ყოფილა და საქმით წაღებულის წართმევაც ძარცვა-გლეჯას გამოუწვევია. ათაბაგის თქმით, წართმევა „დაუნდობლობისა და მტერობისაგანაც“ წარმოსდგება: „თუ ქვეყანა ანუ თემი და სხვა რჯული, გინა მეზობელი, დაუნდობელი იყოს, დაუნდობელმან დაუნდობელს მტერობასა შიგან უყოს“, ე. ი. წაართვასო. მაშასადამე, ტაცობასა და რბევას ვრცელი სარბიელი ჰქონია, მთლად ქვეყანა, თემი და რჯული ხელთ დაუჭერია. მტრობასა და დაუნდობლობას სამაგიერო მოსდევდა, რადგანაც ორივე ენებათა ღელვის საქმეა, რომელიც კაცს აიძულებს ხოლმე უდანაშაულოსაც ბოროტება მიაყენოს. ასეთს შემთხვევას აღბუღაც ასახელებს და როგორც კაცის ბუნების მცოდნე სათანადოდ ბჭობს. შეიძლებაო, ამბობს ათაბაგი, საქმით წამღებელმა და სასაქონლის პატრონმა „სხვასა აწყინონ,“ ისეთს, ვინც არა ფერ შუაშია და მხოლოდ მტრის ქვეყანასა და თემს ეკუთვნის ანუ მისი მეზობელიაო. თუ ასე მოხდა, იგი „სხვა ნაწყენი“ უნდა დადუმდეს—„პირველსა მაწყინარსა არას ემართლების, ამად რომ მტერობასა ზედა დაუნდობელნი ყოფილანო“ (მუხ. ჲშ). აქ საქმე შურის-ძიებაზე იყო დამოკიდებული და ყველა ძველი სამართალი ხომ პატივსა სდებდა შურის-ძიებასა.

არის ერთ გვარი ხელ-შეკრულობა, რომელსაც დასაწყისი სარწმუნოებრივს გრძნობაში უძევს. ასეთია ჩუქება (donatio), რომელსაც აღბუღა უწოდებს კარგად და პირის-წყლიანად ყოფისათვის სამოყვროდ მიცემას. ჩუქება სამამულო და სასაქონლოა. სჯულმდებლობის ისტორია მოწმობს, რომ თავდაპირველად სამამულო ჩუქება სასულიერო წოდებას შემოუღია თავის სასარგებლოდ. ასე მოხდა, მაგ.,

205) Зомъ, 202.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრებში, ყარაიაზის ტბის აღმოსავლეთ-სამხრეთის ნაპირებად და ჯეირანდიუზის სამოვრებზედ ყაზახის მაზრამდე; ყარა-თაფაში, ყარაიაზის ტბის ჩრდილო-დასავლეთის ნაპირებად, ჯაგანგირის მთების გასწვრივ, არხაშენის ვაკეზე, რომელიც მდებარეობს ჯაგანგირის ხეობის, ნატმასა და ვაზიანს შუა; თვით ნატმაზე და ვაკე მინდორზედ, რომელიც მდებარეობს ლოჭინსა და ნავთლუღს შუა; სართიჭალისაკენ: საგარეჯოს სამოვარ მინდვრებში ყაზახის საზღვრამდე; სახნავ და სანახირო მინდვრებზედ, რომელთაც ჰყოდება კუკიის ტბები.

კალიით მოდებული მინდორი შეიცავს სივრცით 1170 ოთხ-კუთხ ვერსის. რასაკვირველია, ამ მანძილზედ ყველგან ერთგვარად არ მოიპოვება კალია: ზოგან მცირეა და ზოგან-კი ბლომად. დაწვრილებით შეტყობა, თუ სად რამდენი არის, ყოვლად შეუძლებელია. დაახლოვებით შეიძლება ითქვას, რომ კალიის გაზმით უჭირავს 200 ოთხ-კუთხი ვერსი, ანუ ორმოცი ათასი დღიური.

დასახელებულ ადგილებს გარდა, საფიქრებელია, რომ კალია იყვეს ტფილისის ახლო: ვაშლოვანის და დიღმის მინდვრებში და გერმანელების ახალშენს ელისაბეტალში. სართიჭალის საბოქაულოში, ავჭალის სამამასახლისოს მინდვრებსა და ალექსანდერდორფში. რამდენად ბლომად არის აქ კალიის კვერცხი, ამისი ცნობა არა აქვს კომიტეტსა.

რომ ბრძოლამ შესაფერი ნაყოფი მოიტანოს და ადვილად გაიყლიტოს გამოჩეკილი კალია, საჭიროა კალიით მოფენილი ველ-მინდვრები გაიყოს ოთხ უმთავრეს მაზრად: 1) სართიჭალისა, 2) ყარაიაზისა, 3) იაღლუჯისა და 4) ქალაქის მიდამოსი. თვითეული მაზრა საჭიროა კიდევ გაიყოს წვრილ-წვრილ რაიონებად, რიცხვით 17.

ოთხის უმთავრესის მაზრის ზედამხედველად და გამგებლად კალიასთან ბრძოლისა უნდა იქმნან მოწვეულნი ჯამაგირით მცოდნე კაცნი. წვრილ რაიონების უფროსებადაც საჭიროა გაგებული და გამოცდილნი კაცნი, რომელთაც შარშანაც უწყვეტიათ კალია.

ყოველ დღე საჭირო იქნება არა ნაკლებ 5000 მუშა კაცისა, ანუ თითო პატარა რაიონზედ დაახლოვებით 300 კაცი.

ტფილისის მაზრაში ითვლება 9208 კომლი მცხოვრებელი. სამ კომლზედ რომ ერთი მუშა იქმნას გაყვანილი კალიის საწყვეტად, შესდგება 3000 კაცამდე, დანარჩენი ორი ათასი კაცი საჭიროა გამოიყვანონ იმ მაზრებმა, სადაც კალია არ არის. დღეში რომ 5000 კაცი ვიანგარიშოთ ორის თვის განმავლობაში, მოუნდება კალიის გაწყვეტას 300,000 მუშა.

თითო მაზრას მოუნდება არა ნაკლებ ექვსის ცხენოსანის მზვერავისა, მაშასადამე სულ საჭირო იქნება 24 კაცი. ამითი მოვალეობა ის უნდა იყოს, რომ შეიტყონ, სად ბუდობს კალია, რა დროს იწყებს გამოჩეკას და დროზედ შეატყობინოს ეს ცნობანი მაზრისა და რაიონის უფროსს, რათა მაშინვე იქითკენ მიუსიოს მუშების გუნდი ამ მწერის გასაჟლეტად.

მუშების გამოკვებას ორის თვის განმავლობაში, იარაღისა და მასალის სყიდვას (ნალა და ნავთი) სულ დასჭირდება 35,000 მან. ამ ხარჯს უნდა მიემატოს კიდევ შემდეგი: 800 მან. ჯამაგირი მაზრების უფროსებისა, რომელთაც თვეში მიეცემათ 100 მან. რაიონების უფროსებისა 1,360 მან., თვეში თითოს 40 მან. და ცხენოსანის მზვერავებისა 720 მან., თვეში თითოს 15 მან. სულ ხარჯი შესდგება 37,900 მან. იარაღის და მასალის შესაძენად ფული ეხლავე საჭირო, რომ დამზადდეს ყველაფერი თხუთმეტ აპრილისთვის; პურის სასყიდლათ-კი აგრე საჩქარო არ არის. შარშან მაზრის უფროსს იჯარით ჰქონდა მიცემული პურის ზრუნვის საქმე მუშებისათვის. მოიჯარადრენი ადგილობრივ აკეთებდენ თორნეებს და ფონით აბარებდენ მაზრის უფროსს გამომცხვარ პურსა. სხვაფრივ არა ხერხდებოდა პურის შოვნა იმისთანა ადგილებში, როგორიც არის ყარაიაზის ველ-მინდვრები.

კომიტეტის აზრით, კალიის გასაწყვეტად მთავრობამ უნდა ამოათხრევინოს დედამიწიდამ კალიის კვერცხები, შემდეგ დააწვევინოს და გადაათხრევინოს ის მამულები, სადაც კალიას დაუდვია კვერცხი და სადაც, რასაკვირველია, მოსახვნებელია ხვნა. მაზრის სამმართველოს უკვე მოუხდენია განკარგულება, რომ მცხოვრებლებმა მებნონ კალიის კვერცხი და წარუდგინონ სამმართველოს. საჭიროა გადიხნას საანეულოდ დატოვებული მამულები, სადაც ყველაზე ბლომად მოიპოვება კალიის კვერცხი. როცა კალიის კვერცხი გამოიჩეკება და ნათესს მიეტანება, მაშინ საჭიროა, შემდეგის საშუალებით გაიწყვიტოს კალია:

1) შექუჩდეს ერთ ადგილას და დაისრისოს. 2) შექუჩდეს ორმოებში და მიწა გადაეყაროს. 3) შექუჩდეს ერთ ადგილას და დაიწვას და 4) გაიწყვიტოს ფარცხებით.

უფრო კარგია პირველი სამი საშუალება. საჭიროა მხოლოდ, რომ მუშებმა იქით დაუქშიონ კალიას, საითაც თვითონ მიდის. ყიჟილ-ხივილი და ღრიანცელი აფრთხობს კალიას და ერთ მხრისაკენ აღარ მიდის, იფანტება და ძნელი ხდება მერმე მისი შექუჩება; ამისათვის საჭიროა, რომ მუშები ჩუმად და დიდის სიფრთხილით ერეკებოდნენ წინ მწერსა. ეს პირობა უსათუოდ უნდა შესრულდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნათესიდგან ერეკებიან კალიას, თორემ ფეხით სულ გაათხრებენ ყანებს. ურიგო არ იქნება აგრეთვე დაჭერა წყალში ჩაცვივნულის კალიისა გოდრებით და კალათებით დასაწვავად, თორემ კალია ადვილად არ იხრჩობა წყალში და გაფოფხდება ხოლმე მეორე ნაპირას. კალია რაკი გამოიჩიკება, ეტანება ნახნავ-ნათესს და, თუ გზაზე დახვდა რუ, გზას-კი აღარ გამოიცვლის, პირდაპირ შიგ ჩავარდება. აი სწორედ ამ დროს უნდა მოაგროვონ კალათა-გოდრებით დასაწვავად. შარშან ამ საშუალებით გადაარჩინეს გურარხის და რარკანის ნათესობა.

კალია დაიწყებს გამოჩეკას ათის მარტიდამ. საჭიროა ადგილობრივმა ბოქაულმა იმ წამსვე მიიღოს შესაფერი ღონის-ძიება, რომ ნათესში არ შესწროს კალიამ, თორემ იქიდამ გამორეკა შემდეგ მნელიც არის და საზარალოც. მუშები კალიის გასაწყვეტად არ უნდა იყვნენ 16 წლისაზე ნაკლები. ბავშვებს და დედაკაცებს შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა, როცა სოფლების ახლო მამულებში იქნება მუშაობა.

რადგან კალიამ დასდო კვერცხი იმისთანა ადგილებში, სადაც ჭავა მალიან ძნელი ასატანია ადამიანისთვის, და სადაც მრავლად მოიპოვება გველი, მორიელი და სხვა ათას გვარი მავნე ქვე-მძრომი ქვეწარმავალი, კომიტეტის აზრით, საჭიროა წინადვე იყოს მიღებული ღონისძიებანი მუშების გადასარჩენად. საშინელი სიცხე და პაპანაქება, განსაკუთრებით უწყლობა ბევრს მუშას ანეულებს და ჰკლავს. ციებ-ცხელება, მუცლის ტკივილი და მზის დაკვრა თავში ხშირი იყო შარშან კალიის გასაწყვეტათ გამოწვეულ მუშებში. ამის ასაცილებლად უსათუოდ თავის დროზედვე უნდა მომზადდეს საკმარისად წამალი, დარიგება მიეცეთ მუშებს, დაქირავებულ იქმნას რამდენიმე ფერშალი და მკურნალი, დამზადდეს ფურგუნები ავადმყოფების გადასაზიდად სამკურნალოებში და სხვა. მუშების დასამინებლად უნდა ამოარჩიოს რაიონის უფროსმა უფრო მაღლობი ადგილები, გოგირდი ბლომად მოასხრჩოლოს გველების დასაფრთხობად და შემოავლოს ბინას თხრილი.

ბინას უნდა შემოევლოს ღაზლის თოკი, რადგან მატყლეულობას ერიდება გველი. ურიგო არ იქნება, რომ ქვეშსაგებად და დასახურად მუშებმა იქონიონ მატყლის საბან-ლეიბი. პაპანაქებაში მუშაობა უნდა სრულიად აღკრძალულ იქმნას.

კომიტეტის მოხსენებიდამ სჩანს, რა საშინელი მტერი ეწვია შარშან ჩვენს ქვეყანას კალიის სახით და რა უბედურებას გვიქადის წელსაც იგივე მტერი, თუ დროზედ რიგიანი ღონე არ მიიღო მთავრობამ. ორმოც ათას დღიურზე გაჩენილი კალია იმდენი იქნება, რომ ერთის თვის განმავლობაში გაანადგურებს ნათესს გუბერნიაში და ცარიელზე დასვამს თითქმის ერთს მილიონს მკვიდრს. კომიტეტის აზრით, ამ საშინელ მტერს უნდა ვებრძოლოთ სასტიკად და არავითარს ხარჯს არ უნდა მოვერიდოთო, თორემ შიმშილი აუცილებელი იქნებაო. ერთის გროშის დანანება შემდეგისთვის ათასის თუმნის ზარალს მოიტანსო.

ამ მოხსენებას კომიტეტი წარუდგენს ტფილისის გუბერნატორს, რომელიც იშუამდგომლებს უმაღლეს მთავრობის წინაშე საჭირო ფულის გადადებისათვის. მართალია, კომიტეტს დიდი იმედი აქვს, რომ 5,000 მუშით შეიძლება გაიწყვიტოს კალია, მაგრამ მაინც ეჭვშია, კაი თუ ეს ფული არ ეყოს და მტერმა გაიმარჯვოსო.

ერთის კვირის შემდეგ, უეჭველია, კალია გამოიჩეკება და ბრძოლაც დაიწყება ამ მავნე მწერთან. უწინ თურმე, როცა კალია გაჩნდებოდა, კაცებს ჰგზავნიდნენ ეჩმიაწინში წმინდა იაკობის წყლის მოსატანად. ამ წყალს ვითომ ტარბი გამოჰყვებოდა და სასტიკად ებრძოდა კალიას. დასაჯერებელი არ არის ასეთი ამბავი, მაგრამ ურიგო-კი არ იქნება, რომ ტარბიც გაჩნდებოდეს როგორმე და ხალხთან ერთად შეებრძოლებოდეს ამ ძლიერსა და საშინელს მტერს.

ა. ყიფშიძე

## წვრილი ამბები

გულ-საკლავი დაცინვა. საფრანგეთის მხატვართა შესახებ, რომელთაც ბერლინის გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვეს, გაზეთ „Figaro"-ში გულ-საკლავი დაცინვაა დაბეჭდილი. თანამშრომელი ამ გაზეთისა ბერჟერი შეეკითხა პიუვი დე-შავანნის, რა მიზეზია, რომ საფრანგეთის მხატვართ ბერლინის გამოფენაში მონაწილეობა არ მიიღესო. ამის მიზეზიო, უპასუხებს დე-შავანნი სხვა-და-სხვა პოლიტიკური მოსაზრებანი იყო. ხომ იცი, რომ ჯერ სედანის ამბავი ვერ მოგვინელებიაო. ამაზედ ბერჟერი შენიშნავს: „აკი თქვენ მაგულიანებდით, რომ მოსკოვის გამოფენაში მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ მე ამ აზრს ვერ შევურიგდი იმის გამო, რომ პაპაჩემი (დიდის მამა) მდ. ბერე-

---

ინდოეთსა და ირლანდიაში 206). მერმე, როცა ჩუქება გახშირდა და აღორძინდა, სასულიერო წოდებას გარდა, სხვასაც ასაჩუქრებდნენ. ოჯახის უფროსმა უფლება შეიძინა მამული შვილთვის ანუ ახლო მეყვისისათვის გარდაეცა: მე მოვლა აღარ შემიძლიან, მამული მიჩუქებია და მარჩინეო... საათაბაგოშიაც სამამულო ჩუქება ქურუმთა და შემდეგ ეკკლესიის მსახურთა გავლენით აღორძინდა. აღბულა პირდაპირ აწესებს სულის სასარგებლოდ მამულის გაცემასა და, მაშასადამე, საყოველთაო ჩვეულებას მისდევს. კარგად და პირის წყლიანად ყოფასათვის სამოყვროდ მიცემაც იგივე უძველესი ჩვეულებაა, რომელიც ოჯახის უფროსს ნებას აძლევდა მეყვისისათვის მამული გარდაეცა, როცა თითონ მოვლა აღარ შეეძლო. რომაელთა სჯულმა განსაზღვრა—თუ რამდენის ჩუქება შეიწყნარება და დადგინა, სასამართლოს ნებართვა საჭიროა, როცა [illegible] დიდად დაასაჩუქრონ ვინმეო. [illegible] გამოთხოვა შეიძლება, უკეთუ დასაჩუქრებული [illegible] 207). აღბულა არ ამბობს, რამდენის ჩუქება შეიძლება, მხოლოდ [illegible] „მოიხადოს" სახუქარი: „ხანეო [illegible]

გამოსვლისა და ქვემო ყოფისათვის თხოვასა არას ემართლებისო", მაგრამ თუ „კარგად და პირ-წყლიანად ყოფა და მოყვრობა" მოისპო, დაუკლებლად მიეცეს საჩუქარიო (მეხ. ჲბ).

სულ სხვა იყო ქრთამი. როცა ერთი ვინმე მეორისათვის გაირჯებოდა და შრომაში გასამრჯელოს მიიღებდა, მაშინ გასამრჯელოს ქრთამი ერქვა. ქრთამს შეადგენდა სამამულო და სასაქონლო. ქრთამი საურია, ხარკი გარჯისა და საქმისაო— „თუ კაცსა კაცისა და ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურისათვის ქრთამად მისცეს რამ, გინა სამამულო და გინა სასაქონლოო". ეს ნიშნავდა, როცა კაცი ვისმეს პატრონთან ანუ ბატონთან შეეწიოს, გაისარჯოს და ხარკი მოუვიდეს, ქრთამს მაშინ მისცემენო. ქრთამსა ძველად სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა 208). მართალია, აწინდელ დროს ქრთამი წაი-[illegible]

თუ ვერ იფიცავედა, ქრთამი პატრონს დაუბრუნოსო (მეხ. პვ).

ძველად გლეხობაში ამხანაგობაც იცოდნენ. ერთი გლეხი მეორეს მიმართავდა და პირობით ეკვროდა—საამხანაგოდ ვილევაწოთ და ვიშრომოთო. აღბულაც იხსენიებს საამხანაგო პირობას და დასძენს, როცა ამხანაგები გაშორდნენ, თანასწორად შუაზედ გაიყონ შეტანილი და მონაგებიო. ამხანაგობის თვისება ურთიერთის ნდობაში მდგომარეობს. ამიტომ თუ ამხანაგად შესული, რომელსაც „სწორის სწორამდინ ურმსახურებია", რასმე მოიტაცებდა, „რა სამიწო ნასყიდი შეექნას, ნურცა მას გაატანსო" (მეხ. ოა). იგი „სამიწო ნასყიდი" საამხანაგოდ „მონაგებს" შეადგენდა და მაშასადამე ამხანაგობა იმ აზრითაც არსდებოდა, რომ საერთო ჯაფით მამული შეეძინათ.

იურიდიულ გარიგებასა და ხელშეკრულობას [illegible]

თოს და ვალი გარდაახდევინოს 209). რაკი პირვანდელ დროს თავდებობა საგვარეულოა, ევროპელთა ძველ სამართალშიაც ცალკე კაცის თავდებობა მოხსენებული არაა 210). კერძო თავდებობა მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა საგვარეულო წყობილებას ბოლო მოეღო.

ევროპაში წინად თავდებობის ნიშნად ჯერ ხმალსა ჰხმარობდნენ და მერე festuca-ს (соломина). ერთსაცა და მეორესაც პირობის დამდებნი და თავდებნი ერთმანეთს გადასცემდნენ ხოლმე—ეს იყოს პირობის საბუთიო. მერე შემოიღეს ხელის ჩამორთმევა, რომელსაც ზედ მოჰყვა სათავდებო, (wadium, задатокъ, აღბულას სანაშირო 211). თავდებობის დროს ხელის ჩამორთმევა ირანელებმაც იცოდნენ და ამიტომ ბ-ნ კოვალევსკის ჰგონია, ვითომ ქართველებმა იმათგან შემოიღეს ეს ჩვეულება 212), თუმცა-კი თავის აზრი არ ახსენთებს.

აღბულა ამბობს, თავდებობა—ორნაირია,—ერთი დიდებულთა და აზნაურთათვის, მეორე საგლეხო და ორივეს თავდებობისათვის „ხელის

ჩართვევა" საჭიროაო. სადიდებულო და საზნაურო თავდებობაზე ნათქვამია, უნდა ეწეროსო—„თუ დიდებული გინა აზნაური დაუდვესცა, ანუ რასაცა ზედა უდგეს, უზღოს სათავდებო, რაც ეწეროს (მეხ. ო). დიდებულსა და აზნაურს ხელს არაფერი უშლიდა და დაუბრკოლებლივ შეეძლოთ ყოველთვის თავდებად დამდგარიყვნენ. სხვა ხასიათისა და თვისებისაა საგლეხო თავდებობა. გლეხი ხელ მოკლეა და მხოლოდ „ერთისა ხარისა ანუ მისის ფასისასა" ნება აქვს დაუდგეს თავდებად, მეტს თავდებობა არ შეუძლიანო. ეს კიდევ არაფერი: გლეხმა უნდა „ხელი ჩამოართმევინოს თუ საპატიოს კაცისა იყოს, მისსა ხელის უფალსა" და თუ დიდებულისა ანუ აზნაურისა—თავის ბატონსაო. ხელ ჩაურთველად გლეხს თავდებობა არ შეუძლო: „თუ ხელი არა ერთის, გლეხი ამას უფროსითა ვერ დაუდგების, ამად რომ არა ლარისა". უკეთუ იგი „ლარის" არსება გაკაპიტალებულმა და ბატონის ხელ-ჩაურთმევლად ვინმე თავდებად დაუდგინოს, „მისმან პატრონმან ხელი იგი დაულეხით" (მეხ. ით).

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

---

206) Совр. Об. и др. Зак. I. 149—151.
207) Вомъ. стр. 109.

208) შრთამის შესახებ აღნიშვნები, Двор. Драм. 41, 45

209) Совр. Об. и др. Зак. I. 226—230.
210) ibid. 163—6.
211) ibid. 171—4.
212) Зак. и Об. на Кав. I. 115—6. II. 110.

ზინას მახლობლად რუსის ჯარის კაცის მიერ იქმნა მოკლული. თუმცა რუსეთისა და საფრანგეთის კავშირსა და კეთილგანწყობილებას დიდად ვაფასებ, მაგრამ მოსკოვის გამოფენაში მონაწილეობის მიღებას, სიკვდილი მირჩევნია, რადგანაც ბერეზინთან მომხდარმა უბედურებამ, ჩემის აზრით, პარიჟი და მოსკოვი საუკუნოდ დააშორიშორა. ინგლისიც სამუდამოდ დაშორებული უნდა იქმნას საფრანგეთის მხატვრებისაგან, რადგანაც ტრაფალგართან ინგლისის ზარბაზნის ყუმბარამ ნაკუწ-ნაკუწად აქცია ჩემი პაპის ბიძიშვილი. ამ მხრით ისპანიაც დაშორებული უნდა იყოს ჩვენგან. ვის შეუძლიან დაივიწყოს ის გარემოება, რომ იოსებ მეფის დროს ისპანიელებმა ჩვენს წინაპრებს დიდი სირცხვილი აჭამეს და დიდი ზარალი მიაყენეს. ამას გარდა იმათის ჯარის-კაცთა მიერ ორი ჩემი გვარის კაცი შეუბრალებლად იქმნენ აკუწული. სახედნიეროდ, დაგვრჩა მხოლოდ ავსტრო-ვენგრია, თუმცა რამდენიმე მოგონებანი პავიის შესახებ (1525 წ.) ეხლაც მაწუხებს, მაგრამ საფრანგეთის მამულიშვილობას ეგ ამბავი არაფრით ამცირებს. ამიტომ თუ ვენა მიმიწვევს, მე დიდის სიამოვნებით გამოვფენ იქ ჩემს სურათებს. დაგვრჩენია იტალია, იტალია კრისპის დროინდელი-კი არა, არამედ აწინდელი იტალია რუდინისა, მაგრამ მაინცა და მაინც სამთა კავშირში ჩათრეული იტალია. უოველს შემთხვევაში საფრანგეთის მამულიშვილობისათვის რომი უფრო ბნელი ლაქაა, ვინემ ბერლინი“. დასასრულ ბერჟერა ხელოვნებათა აკადემიას ურჩევს, რომ ათჯერ მოახდინეთ კრება და ცხრა კრება მხოლოდ იმის გამოკვლევას მოანდომეთ, თუ სად, როდის, ვისგან და როგორ დამარცხებულა საფრანგეთის ჯარი; ხოლო მეათე კრებაზე შეადგინეთ ნამდვილი ნუსხა იმ ერთა, რომელთაც ჯერ არც ერთი ფრანგი არ მოუკლავსო.

## დ ე პ ე შ ა

28 თებერვალი

პარიჟი. აქაური პირველ ხარისხოვანი ბანკი „Sosietè des dorots des comptes courauts“-ი გაკოტრებაში ჩავარდა და მოთხოვნობას 6 მილიონსა სთხოვს სესხად. ფინანსთა მინისტრმა დღეს სალამოსთვის თავისთან მიიწვია პარიჟის ყველა ბანკის დირექტორები ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად და სათათბიროდ.

1 მარტი

პეტერბურგი. დღეს, სახახლის წარჩინებულ მოხელეთა თანადასწრებით, პეტრე-პაველის ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გარდაცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მეII-ის სულის მოსახსენებლად.

პარიჟი. საფრანგეთის ბანკმა გადასწყვიტა ხელი შეუწყოს „Sosietè des dorots des comptes courantes“-ის ბანკსა და 60 მილიონი ფრანკი ანდოს ამ საზოგადოებას. პირველ შესატან ფულის, 15 მილიონის გადახდას, ვინიცობაა დაიკარგა, ჰკისრულობენ პარიჟის საკრედიტო დაწესებულებანი.

2 მარტი

პეტერბურგი. გუშინ პეტრე-პაველის ტაძარში იმპერატორ ალექსანდრე მე-II პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი.

გუშინ დაასაფლავეს ქ-ნი სტრუტტონი, ხელმწიფე იმპერატორისა და მისის უავგუსტოესის ძმების ნაგამდელი. ცხედარს მისდევდნენ ფეხით ხელმწიფე და დიდნი მთავარნი, ხოლო იმპერატრიცა და დიდნი მთავრინანი-კი ეტლებით მიჰყვებოდნენ.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ ციმბირის რკინის გზის გაყვანას მაისის დასაწყისში შეუდგებიანო. პირველი რიგი ხუროთ-მოძღვრებისა უკვე შეუდგა საქმეს.

პარიჟი. იმ მედიატორეთა შორის, რომელნიც დანიშნულნი არიან განიხილონ ნიუ-ფაუნლენდის საქმე, ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეკრულ კონვენციის გამო ატეხილი, იქმება სამი უცხოელი სამართლის მცოდნე კაციც: რუსი, ნორვეგიელი და შვეიცარიელი.

ბერლინი. ვინდჰორსტი გარდაიცვალა.

იმპერატორმა ინახულა ელზასის დეპუტაცია, მადლობა განუცხადა მათ მიერ გამოთქმულ ერთგულებისათვის და დაჰპირდა, რომ შევიმსუბუქებთ მდგომარეობას და ამ შემსუბუქებას მით უფრო ჩქარა მოელოდდეთ, რაც უფრო ჩქარა განაცხადებენ ელზასის მკვიდრნი სრულს გაერთებას იმპერიასთანაო.

სტოკჰოლმი. პალატამ გადასწყვიტა, რომ კვლავ ძალაშივე უნდა დავსტოვოთ აწ არსებული სადამოქნო გადასახადი ხორბალსა, ფქვილსა, სანოვაგესა და რქიან საქონელზედაო.

3 მარტი

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ მემკვიდრე ცესარევიჩმა დაათვალიერა ყველგან კუნძული და 2 მარტს ბატავიიდგან ბანგკოკში გაემგზავრაო.

4 მარტი

პეტერბურგი. დღევანდელს ტირაჟში მეორე შინაგან სესხის უმთავრესი მოგებანი შემდეგ ბილეთებსა ხვდა:

| №№ სერიისა. | № № ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 13951 | 21 | 200,000 |
| 890 | 33 | 75,000 |
| 5581 | 33 | 40,000 |
| 585 | 12 | 25,000 |
| 11252 | 41 | 10,000 |
| 980 | 35 | 10,000 |
| 8583 | 41 | 10,000 |
| 12701 | 44 | 10,000 |
| 10246 | 24 | 10,000 |
| 18451 | 18 | 10,000 |
| 18078 | 42 | 8,000 |
| 5468 | 10 | 8,000 |
| 5787 | 37 | 5,000 |
| 11113 | 39 | 5,000 |
| 8766 | 49 | 5,000 |
| 10512 | 12 | 5,000 |
| 14602 | 28 | 5,000 |
| 2423 | 35 | 5,000 |
| 15085 | 27 | 5,000 |
| 8073 | 46 | 5,000 |
| 11869 | 32 | 1,000 |
| 11572 | 4 | 1,000 |
| 9986 | 39 | 1,000 |
| 15037 | 41 | 1,000 |
| 4849 | 11 | 1,000 |
| 16520 | 11 | 1,000 |
| 9508 | 15 | 1,000 |
| 12430 | 11 | 1,000 |
| 16252 | 17 | 1,000 |
| 2442 | 13 | 1,000 |
| 5650 | 10 | 1,000 |
| 5622 | 5 | 1,000 |
| 6980 | 3 | 1,000 |
| 3315 | 3 | 1,000 |
| 16419 | 15 | 1,000 |
| 15596 | 15 | 1,000 |
| 7757 | 32 | 1,000 |
| 607 | 45 | 1,000 |
| 8463 | 34 | 1,000 |
| 11114 | 18 | 1,000 |

პეტერბურგი. წუხელ გარდაიცვალა მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწე გენერალი მირკოვიჩი.

დღემდე $5^1/_2$%-იანი რენტები წარდგენილ იქმნა კონვერსიისათვის თითქმის 55 მილიონამდე.

„Новости“ იუწყება, რომ ახალი საბაჟო ტარიფი, რომლის განხილვაც ამ სესიაში გათავდება, შემოღებულ იქმნება, თუ სრულიად არა, ნაწილ-ნაწილად მაინც ამ წლის მეორე ნახევრიდამაო.

„Новое Время“ იუწყება, რომ უფროსი ჯარებისა მოსკოვის სამხედრო ოლქში გენერალი კოსტანდა დროებით დაინიშნება მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად, ვიდრე დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მიბრძანდება მოსკოვსაო, ხოლო ეს მოხდება, როგორც ამბობენ, სააღდგომოდაო.

ნიუ-ორლეანი. 19 სიცილი, რომელნიც სამართალში იქმნენ მიცემულნი და რომელთაც ჰბრალდებოდათ მოკვლა პოლიციის უფროსის გენსესი, გაამართლეს ნაფიცმა მსაჯულებმა; ამის გამო ხალხი, ესე 2000 კაცამდე შევარდა ციხეში და 11 გამართლებულში ზოგი დახვრიტა, ხოლო ზოგი ჩამოარჩო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 მარტი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 79 | 6 81 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | $135^3/_4$ | $136^1/_4$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 07 | — |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 239 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | $229^1/_4$ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | $212^1/_2$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |


## განცხადებანი

### სასოფლო ადგილი

ისყიდება ბაქოს გუბერნიაში, დაბა სალიანში. პირობის შეტყობა შეიძლება ბათუმში მეაფთიაქე რელიგიონთან. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას ტფილისისას რომ გამოჩენილი ფრანგული ოპერეტის არტისტი ქალი

## ნ... შიშ...

ჩამოვა ტფილისში თავის დასით, რომელშიაც 20 კაცი ითვლება, და გამართავს ათს წარმოდგენას. პირველი წარმოდგენა უნდა გაიმართოს 10 მარტს.

რ ე პ ე რ ტ უ ა რ ი:

1) La Roussotte; 2) ნინიში; 3) ნიტუში; 4) ლილი; 5) Divorçons (უნდა გავეყარნეთ); 6) სუსტი მხარე; 7) მენახშირენი; 8) ჰრიჰინა; 9) ქოზეფინა.

ამ ოპერეტებს გარდა წარმოადგენენ სამს ახალს ოპერას. ყოველ წარმოდგენაში ქ-ნი ჟიუდიკი იმღერებს შანსონეტებსა და წაიკითხავს მონოლოგებს. ორკესტრში 22 კაცია.

23 თებერვლიდგან შეიძლება აბონემენტის აღება და ბილეთების ყიდვა, როგორც ათივე წარმოდგენისა ერთად, ისე თითოეულისა ცალკ-ცალკე.

დირექტორი პ ა რ ა დ ი ზ ი
ადმინისტრატორი ფ ო რ კ ა ტ ტ ი

(5—2)

## „დასავლეთი“

ახალი რესტორანი, კერაზე, მეზურნეთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური

(40—21)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.